PRESS RELEASE

PR22/443

საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს მხარდამჭერი პროგრამის (Stand-By Arrangement) პირველი მიმოხილვა დაასრულა

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს მხარდამჭერი პროგრამის (Stand-By Arrangement (SBA)) პირველი მიმოხილვა დაასრულა, რის შედეგადაც, საქართველოსთვის დაახლოებით 40 მილიონი აშშ დოლარი გახდა ხელმისაწვდომი.

- 2022 წელს 10 პროცენტიანი ძლიერი ეკონომიკური ზრდა არის პროგნოზირებული. ინფლაცია მცირდება, თუმცა მაღალი სასაქონლო ფასებისა და ძლიერი ადგილობრივი მოთხოვნის გამო კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. 2023 წელს ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის ნორმალიზებაა მოსალოდნელი.

- საქართველოს პროგრამა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებაზე, ინფლაციის შემცირებაზე, ფისკალური და საგარეო მარაგების შევსებაზე რჩება მიმართული, გატარებული რეფორმების მიღწევების შენარჩუნებით, გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის და სტრუქტურული რეფორმების გაგრძელებით, რაც, თავისმხრივ მეტად ინკლუზიურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს.

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, აშშ – 21 დეკემბერი, 2022: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) დირექტორთა საბჭომ საქართველოს მხარდამჭერი პროგრამის (Stand-By Arrangement (SBA)) პირველი მიმოხილვა დაასრულა. შედეგად, საქართველოსთვის ხელმისაწვდომია 30 მლნ SDR (დაახლოებით 40 მილიონი აშშ დოლარი). ქვეყნის ხელისუფლება პროგრამას კვლავ პრევენციულ დატვირთვას ანიჭებს. (ე.ი. თანხის სესხებას ამ ეტაპზე არ გეგმავს).

2022 წელს 10 პროცენტიან, ძლიერ ეკონომიკურ ზრდას ველით. რუსეთის მიერ უკრაინაში წარმართული ომით გამწვეული ნეგატიური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ადრე ნავარაუდევზე ნაკლები აღმოჩნდა, ტურიზმიდან შემოსავლები მზარდია, ომით გამოწვეული მიგრაციული ნაკადები და ფინანსური შემოდინებები მაღალია, ასევე მზარდია სატრანზიტო ვაჭრობა საქართველოს გავლით. ამ მოვლენებმა ფისკალური შემოსავლების და რეზერვების დაგროვებას შეუწყო ხელი. ინფლაცია მცირდება, თუმცა კვლავ მაღალ მაჩვენებელზე, დაახლოებით 10½ პროცენტზე ნარჩუნდება, მაღალი სასაქონლო ფასების და ძლიერი ადგილობრივი მოთხოვნის გამო.

2023 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპისა და ინფლაციის კლებას ველით. გლობალური ვაჭრობის შენელება და ფინანსური პირობების გამკაცრება საქართველოს ეკონომიკის ზრდაზეც აისახება, რაც საქონლის გლობალური ფასების კლებასთან, ლარის ბოლოდროინდელი გამყარებასთან და საკმარისად მკაცრ მონეტარულ პოლიტიკასთან

ერთად, ინფლაციის შემცირებას ხელს შეუწყობს. ეკონომიკის პერსპექტივაზე მოქმედი გაურკვევლობა და რისკები მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

დირექტორთა საბჭოს განხილის შემდეგ ქალბატონმა ანტოინეტა ემ სეიემ (Antoinette M. Sayeh) მმართველი დირექტორის მოადგილემ და სხდომის თავმჯდომარემ, განაცხადა შემდეგი:

„2022 წელს საქართველოს ეკონომიკამ სიძლიერე გამოავლინა. რუსეთის მიერ უკრაინაში წარმართული ომის ნეგატიური გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა. ქვეყნის ხელისუფლებამ პოზიტიური ტენდენციები ფისკალური და საგარეო ბუფერების შესავსებად მართებულად გამოიყენა. ქვეყნის ხელისუფლებამ პროგრამის ყველა პირობა დააკმაყოფილა. მაღალი გაურკვევლობის და რისკების კონტექტში მაკროეკონომიკური სტაბილურობის განსამტკიცებლად აუცილებელია გონივრული პოლიტიკის გაგრძელება.

ხელისუფლებამ წელს მაღალი საბიუჯეტო შემოსულობები დეფიციტის შემცირებაზე მიმართა და ფისკალური წესის მოთხოვნის შესასრულებლად 2023 წელს ბიუჯეტის დეფიციტის შედგომი შემცირებას გეგმავს.
ფისკალური რესურსის (სივრცის) გასაზრდელად და პრიორიტეტული ხარჯების გასაწევად და კაპიტალური ხარჯების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანია საგადასახადო დანახარჯების (საგადასახადო შეღავათების) შემცირება, საგადასახდო ადმინისტრირების და საჯარო ინვესტიციების მართვის გაუმჯობესება. ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა სახელმწიფო საწარმოთა მმართველობითი რეფორმის და განახლებადი ენერგიის რეფორმის მიმართულებით. ეს რეფორმები მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების შესამცირებლად.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმდინარე წელს ეკონომიკის პოზიტიური ტენდენციები მართებულად გამოიყენა საერთაშორისო რეზერვების პროგრამით ნავარაუდევ ტემპზე უფრო სწრაფად დასაგროვებლად. ინფლაციის შესამცირებლად საჭირო იქნება საკმარისად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება და იმ შემთხევაში, თუ ინფლაცია მაღალ დონეზე შენარჩუნდება, პოლიტიკის გამტარებლები მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო მეტად გამკაცრებისთვისაც უნდა იყვნენ მზად. გაცვლითი კურსის მოქნილობისა და რეზერვების გონივრული დაგროვების პოლიტიკის გაგრძელება საგარეო შოკების მიმართ საქართველოს მდგრადობას კიდევ უფრო გაზრდის.

სტრუქტურული რეფორმების გეგმის შემდეგი განხორციელება ძლიერი და ინკლუზირი ზრდის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს. აუცილებელია კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება ბიზნეს გარემოს და მმართველობის გაძლიერებით. ხელისუფლების გეგმა განათლების რეფორმის და სასწავლო პროგრამების მიმართულებით შეამცირებს უმუშევრობას და გაზრდის ინკლუზიურობას. აქვე, ინფრასტრუქტურული პროექტებს შორის პრორიტეტების განსაზღვრა მნიშვნელოვანი იქნება“.

საქართველო: შერჩეული ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები 2020–24

	2020	2021	2022	2023	2024
	ფაქტი		პროგნოზი		
ეროვნული ანგარიშები და ფასები	(წლიური ცვლილება, თუ სხვა არაა მოცემული)				
რეალური მშპ	-6.8	10.5	10.0	4.0	5.2
ნომინალური მშპ, მილიარდი ლარი	49.3	60.0	72.5	80.1	86.9
ნომინალური მშპ, მილიარდი აშშ დოლარი	15.8	18.6	24.7	27.1	29.7
მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ათასი აშშ დოლარი	4.3	5.0	6.7	7.3	8.0
მშპ-ს დეფლატორი, პერიოდის საშუალო	7.2	10.3	10.0	6.5	3.0
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის საშუალო	5.2	9.6	12.0	6.0	3.0
სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პერიოდის ბოლო	2.4	13.9	10.5	3.8	3.0
სახელმწიფოს ფისკალური ანგარიშები	(მშპ-ს პროცენტი)				
შემოსავლები და გრანტები	25.2	25.5	26.5	25.9	25.8
მშ. საგადასახადო შემოსავლები	22.3	22.6	23.9	23.6	23.6
მთლიანი ხარჯები	34.5	31.6	29.3	28.9	28.0
მიმდინარე ხარჯები	26.3	24.6	21.7	21.9	22.1
არაფინანსური აქტივების შეძენა, წმინდა	8.2	6.9	7.6	7.0	5.9
წმინდა დაკრედიტება, სესხება (GFSM 2001)	-9.3	-6.0	-2.8	-2.9	-2.2
მოდიფიცირებული ბიუჯეტის დეფიციტი / სსფ-ს პროგრამის განმარტების მიხედვით 1/	-9.4	-6.1	-3.1	-2.8	-2.3
სახელმწიფო ვალი	60.2	49.7	41.2	42.0	41.4
მშ უცხოურ ვალუტაში	47.6	39.9	31.4	31.5	29.7
ფული და კრედიტი	(პროცენტი, თუ სხვა არაა მითითებული)				
კრედიტი კერძო სექტორს (წლიური ზრდა, %)	22.4	12.4	5.2	10.5	8.5
ფიქსირებული კურსით	9.0	18.2	10.9	7.6	8.8
ფართო ფული (წლიური ზრდა, %)	24.6	11.4	7.4	12.6	11.1
ფართო ფული (ვალუტის დეპოზიტების გარეშე, წლიური ზრდა, %)	18.8	17.9	12.8	13.7	12.2
საგარეო სექტორი	(მშპ-ს პროცენტი, თუ სხვა არაა მითითებული)				
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი	-12.5	-10.4	-5.6	-6.6	-5.7
სავაჭრო დეფიციტი	-20.0	-20.3	-22.0	-22.2	-18.4
ვაჭრობა (წლიური ზრდა)	5.7	-13.6	2.5	3.5	1.5
მთლიანი საერთაშრისო რეზერვი (მილიარდი აშშ დოლარი)	3.9	4.3	4.3	3.8	3.9
სსფ-ს ნაკრები საზომის (მცურავი) მიმართ	107.4	106.9	98.6	83.3	81.4
მთლიანი საგარეო ვალი	110.5	99.8	77.7	73.1	68.4

წყარო: საქართველოს ხელისუფლება და სსფ-ს თანამშრომელთა გათვლები

1/ მოდიფიცირებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (სსფ-ს პროგრამის განმარტებით) = წმინდა დაკრედიტება/სესხება- ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხი